დამტკიცებულია

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის’
დირექტორის 2021 წლის 17 მაისი ბრძანება N01/25

ცვლილებები შევიდა აკადემიის
დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით
დანართი 27

შპს გეოგლობალ აკადემია

უსაფრთხოების წესი

მარნეული
2021

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შპს გეოგლობალ აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) უსაფრთხოების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს და არეგულირებს აკადემიაში უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია აკადემიის უსაფრთხოების სპეციალისტი (დაცვა).

მუხლი 2.უსაფრთხოების სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები:

1. აკადემიის ბალანსზე არსებული შენობა–ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, ოთახების, კორიდორების, სველი წერტილების, აკადემიის მიმდებარე პერიმეტრის უსაფრთხოების, ცეცხლმაქრების საექსპლუატაციო ვარგისიანობის, აგრეთვე სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის, ელექტრომომარაგების, ელექტროგაყვანილობის გამართული მუშაობისა და განათების, წყალმომარაგების, წყლისა და საკანალიზაციო მილგაყვანილობისა და გათბობის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
2. საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მდგომარეობის, გადარჩენის ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალებების არსებობისა და გამართულობის უზრუნველყოფა;
3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესაბამისი პროცედურების განხორციელება.
4. სამუშაო და სასწავლო გარემოში სიმშვიდისა და წესრიგის დაცვა.
5. აკადემიის ტერიტორიაზე შინაგანაწესით დადგენილი აკრძალვების დარღვევაზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება და კონტროლი;
6. საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მათზე რეაგირება;
7. აკადემიაში არსებული ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების, მათ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ხანძარსაშიშროების მაჩვენებლების შესახებ ცნობების აღრიცხვა და გამოყენებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;
8. აკადემიაში გამართულ ღონისძიებებზე წესრიგის დაცვის კონტროლი;
9. დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონორების მონიტორინგი;
10. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების) მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფა;
11. აკადემიის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის წესების დაცვის ზედამხედველობა;
12. საჭიროების შემთხვევაში შშმ და სსმ პირებისათვის გადაადგილებაში დახმარების გაწევა;
13. აკადემიის ტერტორიაზე სისუფთავის და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვა;
14. საჭიროების შემთხვევაში აკადემიისის ტერიტორიაზე მყოფ ნებიმიერი პირის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობით უზრუნველყოფა;
15. აკადემიის პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის უსასყიდლოდ სამედიცინო კონსულტაციის გაწევას.
16. აკადემიაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
17. კომპეტენციის ფარგლებში დირექტორის სხვა დავალებათა, აკადემიის შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულებას.

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. აკადემიის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება.

2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიაში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

3. თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი/მსმენელი ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია:
   3.1. დატოვოს შენობა ან შეეცადოს ჩააქროთ ცეცხლი. საჭროების შემთხვევაში ისარგებლოს საევაკუაციო გასასვლელით.
4. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

4.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში.

4.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. წესების არცოდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.

4.3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.

5. უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულების პერსონალი და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დატოვონ შენობა.

6. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:

6.1.შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა.

6.2.თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარები, აუცილებლად დაკეტეთ აღნიშნული კარებები.

6.3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.

6.4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.

6.5. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.

7. პერსონალის შშმ წარმომადგენლები და შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას.

8. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით. საევაკუეაციო გეგმა საჯაროდ განთავსებულია დაწესებულების შენობის 3 (სამ) წერტილში, ხოლო ცეცხლმაქრები და მათი გამოყენების ინსტრუქცია - შენობის 2 (ორ) წერტილში.

ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია

9. გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112, რომელიც არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი.

10. 112-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი ტელეფონიდან და ზარი უფასოა.

11. 112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

მუხლი 4. ოპერატიული შტაბი

1. საგანგებო ვითარების პირობებში დირექტორის ბრძანებით იქმნება ოპერატიული შტაბი.
2. ოპერატიული შტაბის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

   2.1. აკადემიის დირექტორი - შტაბის უფროსი

2.2. აკადემიის დირექტორის მოადგილე
2.3. უსაფრთხოების სპეციალისტები

3. ოპერატიული შტაბის წევრებს ევალებათ:
   3.1. საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია;
   3.2. სტუდენტთა/მსმენელთა და აკადემიის თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
   3.3. ობიექტებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება;
   3.4. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება.
   3.5. ახალ გამოწვევებზე სწრაფი რეაგირება , კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დასკვნით დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს აკადემიის დირექტორი, ბრძანებით.
2.წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.